გლობალური გამოწვევები მსოფლიო დრამატურგიასა და უახლეს ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებაში

სპექტაკლები: „არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ“, „ინციდენტი მეტროში“, „მწვანე კატა“

მარინე (მაკა) ვასაძე

საკვანძო სიტყვები: *დრამატურგია, რეჟისურა, თეატრი, სპექტაკლი, პიესა*

XX ს. 20-იან წლებისთვის ექსპრესიონისტულმა მიმართულებამ ხელოვნების მრავალი დარგი მოიცვა, მათ შორის ახალდაბადებული კინოხელოვნება, მაგრამ უფრო მეტად პოპულარული იყო თეატრში.
პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ კრიზისში იმყოფებოდა. მოსახლეობა განიცდიდა გერმანიის გაპარტახება-გაუბედურებას. 2018-19 წლებში გერმანია აჯანყებებმა, რევოლუციურმა გადატრიალებებმა მოიცვა და აქედან გამომდინარე, ბავარიის რევოლუცია, ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა ლოგიკური შედეგი იყო. ინტელექტუალების (მოაზროვნეების) მიერ მოწყობილი რევოლუცია მარცხით დასრულდა. იქმნება პაციფისტური მოძრაობა-მიმართულება ხელოვნებაში, ეს იყო პროტესტი არსებული პოლიტიკურ-სოციალური სინამდვილის წინააღმდეგ. გამოსავლად ხელოვანები, მათ შორის, დრამატურგები მიიჩნევდნენ ადამიანის შინაგანი სრულყოფილების გზას. ძირითად მეთოდად იქცა ადამიანის სულიერი განცდების წარმოჩენა. პროტესტი ტექნიკის სწრაფი განვითარების წინააღმდეგ ერთ-ერთი წამყვანი თემა ხდება. ამ მიმართულებამ გამოხატა ისიც, თუ როგორ იქცევა ადამიანი მასის ნაწილად და კარგავს პიროვნულს. პიროვნულის შესანარჩუნებლად კი, საჭიროა სიცოცხლის საზრისის გამონახვა. სიცოცხლის საზრისის ძიება ექსპრესიონისტთა უმთავრეს პრობლემად და ძირითად საკითხად, ადამიანის ადამიანად დარჩენა კი უმთავრეს მიზნად ჩამოყალიბდა. ადამიანური გადავარჩინოთ ადამიანში - ექსპრესიონისტთა ლოზუნგად იქცა. თეატრი უარს ამბობს ადამიანი-პერსონაჟის სახის ფსიქოლოგიურ გახსნაზე, მთავარი ხდება გარკვეული იდეის გასახიერება წმინდა თეატრალური თვალსაზრისით. ექსპრესიონისტებისათვის თეატრი ერთგვარი „სულიერი ძმობა“ იყო და ამ ძმობაში მაყურებელიც იყო ჩართული. ამით ისინი თეატრს უპირისპირებდნენ საზოგადოებაში არსებულ გათიშულობასა და ადამიანთა შორის მტრულ დამოკიდებულებას.

გლობალიზაციის ეპოქაში, ერთ-ერთი აქტუალური კვლევის საგანია ძალადობის თემა სხვადასხვა სოციალურ ფენასა თუ ასაკობრივ ჯგუფებში. „არსებობს ძალადობის სხვადასხვა ფორმა. ჩვენ შეგვიძლია განვასხვაოთ პირდაპირი და ირიბი (ანუ სტრუქტურული) ძალადობა: პირდაპირი ძალადობა = ფიზიკურ ძალადობას; ირიბი (ანუ სტრუქტურული) ძალადობა = სიღარიბეს, ექსპლუატაციას, სოციალურ უსამართლობას, დემოკრატიის არარსებობას, და ა.შ.“.[1]

ჩვენი ქვეყნის (მსოფლიოს) უახლეს ისტორიაში, ძალადობა, სამწუხაროდ, ნორმად იქცა. ოჯახში, ქუჩაში, სოციალურ ქსელებში, მედიაში... ტელეარხების საინფორმაციო გადაცემებზე თვალის ერთი გადავლებითაც კი აშკარაა, რომ ადამიანებში დიდი აგრესიაა დაგროვილი, რომლის გადმონთხევა მორალუ-

1 ბრანდონი პ., კომპასი, 2004, გვ. 45.

რი თუ ფიზიკური ძალადობით ხორციელდება. ამის მიზეზი მრავალია: მოსახლეობის გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობა, არასტაბილურობის განცდა, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია.

მსოფლიო დრამატურგია, სათეატრო ხელოვნება საუკუნეებია იკვლევს საზოგადოებაში სხვადასხვა ასპექტით გამოვლენილ გლობალურ ძალადობას, მის გამომწვევ მიზეზებს. ქართულ თეატრში, უცხოურ თუ ქართულ, კლასიკურ თუ თანამედროვე პიესებში ასახულ ძალადობის პრობლემებზე არაერთი სპექტაკლია შექმნილი. უახლეს ქართულ თეატრში, ამ თემაზე რამდენიმე საინტერესო დადგმა განხორციელდა. მათ შორისაა: **ბიდგოშჩის პოლონური თეატრის** (Teatr Polski w Bydgoszczy) და თბილისის სამეფო უბნის თეატრის კოპროდუქცია – **„არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ“**, მარჯანიშვილის თეატრის **„ინციდენტი მეტროში“,** მოზარდმაყურებელთა თეატრის **„მწვანე კატა“**. სამივე სპექტაკლი უცხოურ მასალაზეა აგებული.

ბიდგოშჩის პოლონური თეატრის (Teatr Polski w Bydgoszczy) და თბილისის სამეფო უბნის თეატრის კოპროდუქცია – „არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ“ – რეჟისორმა დათა თავაძემ განახორციელა (საქართველოში, თბილისში სპექტაკლის პრემიერა 2021 წლის მიწურულს, 21.12.21 შედგა). სადადგმო ტექსტის ავტორი დათო გაბუნიაა. სპექტაკლის შექმნის ინსპირაცია კშიშტოფ კიშლიოვსკის[2] დოკუმენტური ფილმებია. მხატვრულ-დოკუმენტური ვერბატიმის ხერხებით განხორციელებული წარმოდგენის სახელწოდება კიშლიოვსკის დოკუმენტური ფილმის – „მუშები 1971 – არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ“ (1971) – ციტირებაა. კიშლიოვსკის დოკუმენტურ ფილმში ასახულია, პოლონეთში 1970-71 წლებში, ფასების მომატებასთან დაკავშირებული მუშათა საპროტესტო გამოსვლები, რომელიც ქვეყნის მაშინდელმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო.

დათა თავაძის და დათო გაბუნიას დრამატურგიული ტექსტი და სპექტაკლი, უბრალო ადამიანებზეა. ისინი, ჩვენს უახლეს რეალობაში მყოფი, ჩვენი თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები – მუშები, მაღაროელები, ბალერინები, ფეიქრები, დიასახლისები და ა. შ., – მოკლედ, რიგითი ადამიანები არიან. მათ ვერ ამჩნევენ მანამ, სანამ ცხოვრებისეული დრამატული, ზოგჯერ კი, ტრაგიკული მოვლენები არ განვითარდება – გაფიცვა, მაღაროში დაღუპვა, დამსახურებული მუშის გარდაცვალება, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული ზეწოლა, ე. წ. მასობრივი ტერორი და სხვ.

ლევან წულაძისა და თემო კუპრავას მიერ მარჯანიშვილის თეატრში დადგმული „ინციდენტი მეტროში“, ლარი პირსის[3] ფილმის „ინციდენტი“ (1967), გასცენიურებული ვერსიაა (ინსცენირების ავტორები: ლევან წულაძე, თემო კუპრავა, პრემიერა 2021 წლის მიწურულს გაიმართა). თავად ფილმი ნიკოლას ბიერის[4] ტელესპექტაკლის „მგზავრობა ტერორით“ მიხედვით შეიქმნა. სპექტაკლი თანამედროვე ცხოვრებაში არსებულ მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხებს ასახავს, რეჟისორების ჩანაფიქრით,

2 კშიშტოფ კიშლიოვსკი (1941-1996) - 1970-80-90-იანი წლების დოკუმენტური, მხატვრული და სატელევიზიო ფილმების სახელგანთქმული პოლონელი რეჟისორი. თავის სხვადასხვა ფორმატისა და ჟანრის ფილმებში იკვლევდა, როგორც სოციალურ, ასევე თანამედროვეობის მორალურ თემებს. კინორეჟისორის განათლება, მსოფლიოში ცნობილი, პოლონეთის სახელმწიფო უმაღლესი განათლების ლოძის (Łódź) კინო სკოლაში მიიღო. https://www.britannica.com/biography/Krzysztof-Kieslowski (ბოლოს გადამოწმებულია 29.06.22. თარგმანი ყველგან ჩემია - მ. ვ.)

3 ლოურენს ლარი პირსი Lawrence (Larry) Peerce (დაიბადა 1930 წ. აშშ-ში) - დრამატურგი, სცენარისტი, რეჟისორი, პროდიუსერი. მსოფლიოში სახელი გაითქვა კინოფილმებით და ტელეფილმებით. მის შემოქმედებით წარსულში სათეატრო დადგმებიცაა. 1960-იან წლებში ითვლებოდა, რომ პირსი ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკელი კინორეჟისორი იქნება. „ერთი კარტოფილი, ორი კარტოფილი“ (One potato, Two potato -1964), პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რომელშიც რეჟისორმა სენსიტიურად გადმოსცა რასობრივი ქორწინების, თეთრი და ფერადი რასის წარმომადგენელთა წყვილის ამბავი, წარმატებული აღმოჩნდა და ოსკარითაც (აშშ-ში კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო) დააჯილდოვეს საუკეთესო სცენარისთვის (Orville H. Hampton and Raphael Hayes). ხოლო, კანის კინოფესტივალზე სამსახიობო ნამუშევრისთვის - ბარბარა ბარი (Barbara Barrie) საუკეთესო მსახიობად დასახელდა. https://www.imdb.com/name/nm0670282/bio (ბოლოს გადამოწმებულია 29.06.22).

4 ნიკოლას ბიერი (1924-1986), აშშ-ს სცენარისტი, დრამატურგი, რეჟისორი. Nicholas E. Baehr (1924-1986 USA), Screenwriter, playwright, director.https://www.imdb.com/name/nm0046296/ (ბოლოს გადამოწმებულია 29.06.22).

ქმედება (განსხვავებით ფილმისგან) – მეტროს მატარებლის ვაგონში მიმდინარეობს. ლევან წულაძე ავანსცენაზე შექმნილი სცენოგრაფიით[5] ქმნის ჩაკეტილ სივრცეს. თანდათანობით, მოვლენების განვითარებიდან გამომდინარე, მიწისქვეშა მეტროს ვაგონი „ჯოჯოხეთის" ასოციაციას ბადებს. ერთ დახურულ სივრცეში მოქცეულ, განსხვავებული სოციალური ფენის, გემოვნების, მსოფლმხედველობის ადამიანებს, რომელთა შორის ორი ახალგაზრდა მოძალადეცაა, არ შესწევთ არც ძალა და არც უნარი წინააღმდეგობა გაუწიონ უსამართლო ძალმომრეობას. ალბათ, სწორედ ამიტომაც რეჟისორებმა, არც მოძალადეებს და არც მსხვერპლთ კუთვნილების გამომხატველი სახელები არ მიანიჭეს. უსახელო არსებები, თითქოს ერთ უსახურ მასას წარმოადგენდნენ. ეს იმის მიმანიშნებელიცაა, რომ სცენაზე მიმდინარე მოვლენების მოქმედ ტიპაჟებში, შესაძლოა ჩვენივე თავი ამოვიცნოთ.

2022 წლის დასაწყისში, მოზარდმაყურებელთა თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე, ახალგაზრდა რეჟისორმა ლუკა ინწკირველმა, თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად, თანამედროვე რუმინელი დრამატურგის, ელის უილკის[6] პიესა – „მწვანე კატა" – დადგა. პიესაშიც (თარგმანი – ანა მირიანაშვილი) და სპექტაკლშიც გარეუბანში მცხოვრებ მოზარდთა პრობლემები, ახალგაზრდა 16-19 წლის თინეიჯერების ფიქრები, ტკივილები, საზრუნავი, ოცნებებია წარმოჩენილი და გაცოცხლებული სცენაზე.

პერსონაჟთა მონოლოგებით აგებული დრამატურგიული ტექსტის სცენურ ტექსტად ადაპტირებისას ლუკა ინწკირველმა ქმედით ხერხს მიაგნო. სპექტაკლს დაკითხვის ფორმა აქვს და აქედან გამომდინარე, დიალოგებიც შეიქმნა. ამბავი ბიანკას დრამატულად დასრულებულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. 6 ახალგაზრდა მსახიობი, პერსონაჟების განსახიერებისას, მორიგეობით ხან დამკითხველებად და ხან კი, მოპასუხეებად წარმოგვიდგებიან. დამკითხველები მაყურებლისთვის განკუთვნილ პირველ რიგში სხდებიან და მათი კითხვები დარბაზში მსხდომი თითოეული ადამიანის ფიქრებში წარმოსახულის თანხვედრია.

დათა თავაძის პოლონურ-ქართული სპექტაკლისათვის – **„არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ"** – ანა-მარია კარჩმარსკას[7] შექმნილი სცენოგრაფია ეპიზოდებივით დანაწევრებული დეკორაციისგან შედგება. კედლები, კარები, ფანჯრები, მაცივრები, სკამები, მაგიდა, სანათური, ლარნაკი წითელი და თეთრი მიხაკებით, სხვადასხვა ბინის ასოციაციას ქმნის. აქ ცხოვრობენ არაფრით გამორჩეული ადამიანები-პერსონაჟები. მსახიობები ადამიანთა ცხოვრებისეულ ისტორიებს აცოცხლებენ.

კიშლიოვსკის დოკუმენტური ფილმის მსგავსად, დათა თავაძე ამბის გადმოსაცემად ინტერვიუს ფორმას იყენებს. მსახიობები მორიგეობით ინტერვიუერები და რესპონდენტები არიან. ინტერვიუერი სანათურიან მაგიდასთან ჯდება ხოლმე, რესპონდენტი სცენის მარცხენა კუთხეში მდგარ მიკროფონთან დგება. ინტერვიუების ვიდეოტრანსლაცია ჩამოკიდებულ თეთრ კარზე აისახება. კითხვები ერთი და იგივეა: ვინ ხარ? როდის დაიბადე? რას ელი ცხოვრებისგან? რესპონდენტები მოკლედ და ზუსტად პასუხობენ – ზოგი შიშის გარეშე ცხოვრებას ელოდება, ზოგი კი საერთოდ არაფერს. შემდეგ, თანდათანობით სცენაზე თითოეული მათგანის ისტორია გათამაშდება.

რეჟისორი დრამატული ამბის გადმოცემისას სევდანარევ იუმორს, ზოგჯერ კი გროტესკსაც იყენებს. დათა თავაძე მაყურებელს თავიდანვე ეუბნება, რომ რეალურ ამბებზე აგებულ სპექტაკლშიც კი, ხელოვანი ყოველთვის თავისი თვალით დანახულს, მონტაჟის ხერხის გამოყენებით, აჩვენებს ცხოვრებას. რეჟისორი სპექტაკლში ექსპრესიონისტული, ეპიკური თეატრის ხერხებსაც იყენებს – ეკრანზე ჩნდება წარწერა,

5 სცენოგრაფია ლევან წულაძის.

6 ელის უილკი (Elise Wilk დ. 1981), რუმინელი დრამატურგი. მისი პიესები ხშირად იდგმება ევროპასა და აშშ-ში. იგი არაერთი პრემიის, ჯილდოს მფლობელია. „მწვანე კატა" ტრილოგიის ნაწილია („ქაღალდის თვითმფრინავები" - რუმინეთის ეროვნული დრამის პრემიის ლაურეატი 2015 წ., „ნიანგი" - ნაციონალური მონოდრამის პრიზის მფლობელი). „მწვანე კატამ" 2013 წელს „ირლანდიის საელჩოს ჯილდო დამწყები რუმინელი დრამატურგისთვის" მოიპოვა. https://www.fabulamundi.eu/en/elise-wilk/ (ბოლოს გადამოწმებულია 29.06.22).

7 ანა-მარია კარჩმარსკა (1981), პოლონელი სცენოგრაფი, კოსტიუმების მხატვარი. Anna Maria Karczmarska is a visual and performance artist, scenographer, and costume designer. She was born in 1981 in Rejowiec Fabryczny, Poland. https://culture.pl/en/artist/anna-maria-karczmarska (ბოლოს გადამოწმებულია 29.06.22).

მაგალითად: „სამსახური“, „ვინც შრომობს ორკესტრს იმსახურებს“, „პირველი მაისი“, „მუშები 1971“, „რძე“, „არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ“...

ელის უილკის პიესის – **„მწვანე კატა“** – რემარკაში მითითებულია, რომ დეკორაცია წარმოადგენს გარეუბანს, უღიმღამო ნაცრისფერი კორპუსებით, ძველი ქიმიური ქარხნით. პერსონაჟთა სათამაშო მოედანი რეჟისორის ჩანაფიქრით თითქმის ცარიელია, მხოლოდ ორი სკამი და მიკროფონი დგას, რომელთანაც მოპასუხეები აღმოჩნდებიან ხოლმე. წარმოდგენის მსვლელობისას, გარეუბნის ქუჩებს რეჟისორი ვიდეოპროექციით უჩვენებს მაყურებელს. კონსტანტინე ეჯიბაშვილის ციფრული პროექცია, ვახტანგ გვახარიას მიერ შექმნილი მუსიკალური თემები, სცენაზე განვითარებული მოვლენების თანხვედრია და ამასთანავე, განწყობის შემქმნელიც.

ქიმიური ქარხნის გამონაბოლქვში გაზრდილი თინეიჯერების ფსიქიკა დამახინჯებულია. პიესაშიც და სპექტაკლშიც დაისმის კითხვები, თუ ვის მიუძღვის ბრალი ამ ახალგაზრდების გაუბედურებაში, ბიანკას ტრაგიკულ დასასრულში. მოვლენათა რიგის განვითარებასთან ერთად ირკვევა, რომ დანის, ბიანკას, რობერტის, როქსანასა და ფლორის მშობლებიდან ზოგი ლოთია, ზოგი პირადი ცხოვრების მოწყობაზე ზრუნავს და შვილებისთვის „არ სცხელა“; ზოგი თითქოსდა ზრუნავს შვილის უკეთესი მომავლისთვის, მაგრამ მათი აღზრდის მეთოდები შთამომავლის პიროვნებად ჩამოყალიბებას კი არ უწყობს ხელს, არამედ პირიქით ანგრევს მის ფსიქიკას და ეგოისტად აყალიბებს. რეჟისორი (პიესიდან გამომდინარე) იკვლევს იმ გარემოებებს, რომლებმაც განაპირობეს დანის მოძალადედ ჩამოყალიბება, ბიანკას მსხვერპლად ქცევა.

სპექტაკლის **„ინციდენტი მეტროში“** რეჟისორები, მსახიობებთან ერთად, სხვადასხვა შტრიხით, ლაკონიურად ქმნიან მგზავრთა ტიპაჟებს. თინათინ წულაძის ქორეოგრაფიული ნახაზი მსახიობებს პერსონაჟთა პლასტიკურ გამოძერწვაში ეხმარება. ზურა გაგლოშვილის მუსიკალური გაფორმება (ბოუვი, ჯიმი ჰენდრიქსი, ილინ ვუდსი, ბახი) სპექტაკლის რიტმის, დინამიზმის, რაც მთავარია, ემოციური მუხტის შექმნას უწყობს ხელს. შემოქმედებითი ჯგუფი, ტექნიკური პერსონალი, მეტროს ვაგონში არსებულ მგზავრთა ტიპაჟებით, ჩვენი საზოგადოების მინიმოდელს ქმნის. მოძალადე-პერსონაჟები გამოჩენისთანავე გამომწვევად იქცევიან, ხმამაღალი ლაპარაკით, ხორხოცით შემოცვივდებიან ვაგონში და იწყებენ მგზავრების შევიწროებას. მათი საქციელი, ქმედება აღმაშფოთებელია, მაგრამ კიდევ უფრო საგანგაშოა ძალადობის მიმართ დანარჩენ მგზავრთა ინდიფერენტულობა, უსუსურობა, წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა. შუახნის წყვილი – ლამაზი, კეკლუცი, ოჯახზე მზრუნველი, მოსიყვარულე, მშრომელი ქალი და „სამუშაოში შეყვარებული“, შრომით ნაშოვნ თითოეულ კაპიკზე „მოკანკალე“ მამაკაცი. მამა-შვილის პერსონაჟთა ურთიერთობებში იკვეთება, რომ გაუთხოვარი ქალიშვილი, რომელიც მოხუც მამაზე ზრუნავს, თავის თავს მამის „მსხვერპლად“ აღიქვამს. აღსანიშნავია, რომ მოხუცი მამა ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეებს. განსხვავებული ორიენტაციის მქონე პირის, ტრანსგენდერის ტიპაჟის მიმართ აგრესია ვაგონის მგზავრთა გარკვეული ნაწილისგანაც აშკარაა, მაგრამ სწორედ მას აქვს სურვილი და მოქმედების უნარიც, რომ როგორმე შეაჩეროს მოძალადეები. ექსტრემალური სიტუაცია, მაღალი ფენის წარმომადგენელი მეუღლე-პერსონაჟების დალაგებულ, უდარდელ ცხოვრებას – ნათელს მოჰფენს. ქმარი, რომელსაც ცოლის დაცვა არ ძალუძს (მის თვალწინ გააუპატიურებენ ცოლს), იმპოტენტი აღმოჩნდება. ახალგაზრდა შეყვარებულის ტიპაჟიც რეჟისორებმა და მსახიობმა პრინციპში სულიერ იმპოტენტად წარმოაჩინეს. მასაც არ შესწევს ძალა და უნარი შეყვარებულის დასაცავად. საქმე-საქმეზე, რომ მიდგება, „ბრგე ჭაბუკი“ ლაჩარი აღმოჩნდება. და-ძმის წყვილში, და – ექსცენტრიკული, მემარცხენე ფემინისტი ქალია, ძმა დის ანტიპოდი – ლიბერალიზმის მოწინააღმდეგე, ჰომოფობია, რომელსაც სანამ არ შეეხებიან, მოძალადეებისადმი სიმპათიითაც კი არის გამსჭვალული. აქვეა უუნარო, იოლად დამორჩილებადი ტიპაჟი და ასევე, უსახლკარო გალოთებული ადამიანი-პერსონაჟი, რომელსაც მეტყველების უნარიც კი აღარ აქვს. სამხედრო მოსამსახურეებიდან, ერთ-ერთი გენერლობაზე მეოცნებე ჯარისკაცია, მეორე – ლაჩარი. მოძალადის ჩვილ ბავშვზე ყურადღების გადატანა გენერლობაზე მეოცნებე ჯარისკაცისთვის, ის ბოლო წვეთია, რომელიც „მოთმინების ფიალას“ აუვსებს. იგი ერთადერთია, ვინც რეალურად აღუდგება მოძალადეებს. ფინალი დრამატულია, ინციდენტს მეტრო-

ში, ორი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა – მოძალადის და გენერლობაზე მეოცნებე ჯარისკაცის.

„მწვანე კატაში“ – ახალგაზრდა მსახიობები უშუალოდ, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, თანმიმდევრულად ძერწავენ განსასახიერებელ პერსონაჟთა სახეებს. პიესაშიც და სპექტაკლშიც ამბავი ბიანკას მკვლელობის ისტორიის გარშემო ვითარდება. დანი – მამის ლოთობით ტრავმირებული, დამახინჯებული ფსიქიკის მქონე პერსონაჟია. „მწვანე კატა“ – მისი დაავადებული ფსიქიკის, რეალური ცხოვრებიდან გაქცევის სურვილის სიმბოლოა. ის სწორედ მაისურზე გამოსახული მწვანე კატის გამო მიაქცევს ბიანკას ყურადღებას. დანი მოძალადე-მკვლელია, მაგრამ რეჟისორმა პერსონაჟის ქცევის განმაპირობებელი მოვლენათა რიგი იმგვარად ააგო, რომ მაყურებელი თავიდან ვერ ხვდება ამას. მსახიობს და რეჟისორს თანმიმდევრულად მიჰყავთ დანი ძალადობისკენ. მის ფსიქიკასა თუ ქმედებაში კულმინაციური მომენტი – ბიანკასგან საძულველი არყის სუნის შეგრძნებაა. არაყი ნორმალური ოჯახური ურთიერთობების დამანგრეველია, ბიანკასგან ამოსული არყის ოხშივრის ჩასახშობად, დანი მოახრჩობს გოგონას.

დათა თავაძის სპექტაკლში 1970-71 წლებში, პოლონეთში მიმდინარე მოვლენები ერთი ოჯახის ფონზე ვითარდება. აქვე დიასახლისის ცხოვრებაც გათამაშდება, რომლის შრომა დაუფასებელია. ახალგაზრდა და-ძმის დიალოგში გაიჟღერებს საპროტესტო აქციების თემა. და, რომელიც აქტიურია, დადის მიტინგებზე. ძმა, რომელიც მართალია მხარს უჭერს მუშათა მოთხოვნებს, მაგრამ ქუჩაში პროტესტს არ გამოხატავს. – ეს რომ მცოდნოდა, შენც არ გაგიშვებდი, ეუბნება დარბევაში დაღუპულ დას.

დათა თავაძის და დათო გაბუნიას მიერ შექმნილ სასცენო ტექსტსა თუ უშუალოდ სცენაზე გაცოცხლებულ ამბავში, მოვლენათა რიგის განვითარება, ვფიქრობ, სხვასთან ერთად, ე. წ. „ასოციაციური აზროვნების“ პრინციპზე – ხერხზეა აგებული. სხვადასხვა ეპიზოდად („პირველი მაისი“ – მუშათა დღესასწაული, დამსახურებული ფეიქარი ქალის პენსიაზე გასვლა, ბალერინას ეპიზოდი და სხვ.) მოთხრობილი ამბავი ერთ მთლიანობაში იკვრება და სხვასთან ერთად, ადამიანზე ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამომხატველია. თანამედროვე სათეატრო ხელოვნებაში, მსგავს ხერხს არაერთი სახელგანთქმული თუ ნაკლებად ცნობილი რეჟისორი იყენებს. დათა თავაძემ ოსტატურად „შეადუღაბა“ სოციალისტური პოლონეთისა და საქართველოს უახლესი ისტორიის მოვლენათა ე. წ. „გადაძახილი“.

ახალგაზრდა ქართველი მეშახტის გულისშემძვრელ ეპიზოდში, ვერბალური და ქმედითი ენით, დეტალურად გვიყვებიან შახტაში, მიწის სიღრმეში ჩასვლისას, რას გრძნობენ მეშახტეები. დათა თავაძე ამ ეპიზოდში ფუნქციურად ათამაშებს მაკრატელს. მთელი ეპიზოდის განმავლობაში დიდი მაკრატლით თითქოს რაღაცას ჭრიან, რაც ახალგაზრდა ბიჭის სასიცოცხლო ძალების ნელ-ნელა გადაჭრის, გამოცლის ასოციაციას აღძრავს მაყურებელში. სპექტაკლში, ერთ-ერთი რესპონდენტი, მოხუცი კაცი ამბობს, რომ 100 წლისაა და უნდა უფრო დიდხანს სიცოცხლე. სევდიანი, გულისამაჩუყებელია მოხუცის ეს ფრაზა. სიცოცხლე ყველა ადამიანისთვის ძვირფასია და მითუმეტეს ტრაგიკულია ახალგაზრდების დაღუპვა. ფინალისკენ, გამოღებულ მაცივარში ღვთისმშობლის სკულპტურა მოჩანს, ადამიანებმა რწმენაც კი მაცივარში გამოკეტეს. ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: – აღარ მახსოვს ვინ თქვა – „უფალო რატომ მიმატოვე“. ამაზე მეტი აბსურდი რა უნდა იყოს? რეჟისორმა სპექტაკლი „არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ“ კიშლიოვსკის ფილმიდან კადრით დაასრულა. ეკრანზე პატარა შავთმიანი გოგონას სურათი გამოისახება. იმ გოგონასი, რომელიც ფილმში ამბობს – მე საზიზღარი შავთმიანი ვარ. მაყურებლის მზერა პატარა გოგონას სურათზე ფოკუსირდება, რომელიც სინამდვილეში მშვენიერია.

ყოველ დროსა თუ ეპოქაში თეატრი მაყურებელს, კლასიკური თუ თანამედროვე ნაწარმოების დადგმისას, თანამედროვეობაში არსებულ პრობლემებზე ესაუბრება. გაანალიზებული დადგმები: „არაფერი ჩვენ შესახებ უჩვენოდ“, „ინციდენტი მეტროში“, „მწვანე კატა“ – არა მარტო ლოკალურ, ჩვენი ქვეყნის სოციუმში, არამედ ზოგადად მსოფლიოში არსებულ მწვავე თემებს ეხება – ძალადობა, ჩაგვრა, პასიურობა, ნიჰილიზმი და სხვ. საზოგადოება, რომელსაც აღარ შესწევს სიყვარულის, თანაგრძნობის, თანალმობის უნარი, შობს მოძალადეებს და პასიურ, ძალადობის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარმოკლებულ ადამიანებს, ამ ბიუროკრატიულ, ავტოკრატიულ, აბსურდულ სამყაროში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბრანდერი პ., კომპასი, თბ., 2004.
- უილკი ე., მწვანე კატა, https://www.theatrelife.ge/tuf
- ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ჟურნალსა თუ ელექტრონულ საიტზე https://www.theatrelife.ge/ გამოქვეყნებული მკვლევარი-ავტორის მარინე (მაკა) ვასაძის სტატიებიდან ამონარიდები.
- http://www.rustavelitheatre.ge/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/
- https://www.britannica.com/biography/Krzysztof-Kieslowski
- https://www.imdb.com/name/nm0670282/bio
- https://www.imdb.com/name/nm0046296/
- https://www.fabulamundi.eu/en/elise-wilk/
- https://culture.pl/en/artist/anna-maria-karczmarska

GLOBAL CHALLENGES IN WORLD DRAMATURGY AND MODERN PERFORMING ART IN GEORGIA

Performances: Nothing About Us Without Us, Incident in the Subway, Green Cat

Marine (Maka) Vasadze

Keywords: *Dramaturgy, directing, theatre, performance, play*

By the 1920s, the expressionist movement had spread to many fields of the arts, including the newly emerging cinematography, but was more popular in the theatre.
Defeated in the World War I, Germany was in a political, economic, social and spiritual crisis. The population is experiencing the desolation and misery of Germany. In 2018-19, Germany was involved in revolts, revolutionary coups, and hence, the Bavarian Revolution, the Bavarian Soviet Republic was a logical outcome. The revolution organized by intellectuals (thinkers) has failed. A pacifist movement-direction was created in art, it was a protest against the existing political-social reality. Artists, including playwrights, considered the way of inner perfection of a person as a solution. The main method has become the presentation of human spiritual feelings. Protest against the rapid development of technology is becoming one of the leading topics. This direction also expressed how a person becomes a part of the mass and loses his individuality. In order to preserve the personal, it is necessary to find the meaning of life. The search for the meaning of life became the main problem and the main issue of the expressionists, and the main goal was that a man should remain a human being. To save the humanity in a human being - became the slogan of the expressionists. The theatre refuses to develop a character psychologically, the main thing is to embody a certain idea from a purely theatrical point of view. For expressionists, the theatre was a kind of "spiritual brotherhood" and the audience was included in this brotherhood. With this, they opposed the theatre to dissociation in society and hostility between people.

In the era of globalization, one of the main research subjects is violence in different social strata or age groups.

"There are different forms of violence. We can distinguish between direct and indirect (structural) violence: direct violence = physical violence; indirect (structural) violence = poverty, exploitation, social injustice, lack of democracy, etc".[1]

In the recent history of our country (and the world), violence has unfortunately become a norm. Everywhere, in the family, street, social networks, media.... Even by watching the news programs on TV channels, it becomes clear that there is a lot of aggression accumulated in people, which is released through moral or physical violence. There are many reasons for this: the unbearable social condition of the population, a sense of instability, the current political situation in the country.

For centuries, world dramaturgy and theatre have been investigating global violence manifested in various aspects of society, as well as its reasons. In Georgian theatre, many plays have been created on the problems of violence based on foreign or Georgian, classical or contemporary plays. Several interesting productions on this topic were performed lately in Georgian theatre. Among them are co-productions between Polish Theatre of Bydgoszcz (Teatr Polski w Bydgoszcz) and Tbilisi

1 Brandon P. Compass, 2004, p.45

Royal District Theatre: *Nothing About Us Without Us* and Incident in the Subway in Marjanishvili Theatre, and *The Green Cat* in Youth Theatre. All three plays are based on foreign material.

Nothing About Us Without Us, a co-production between Polish Theatre of Bydgoszcz (Teatr Polski w Bydgoszczy) and Tbilisi Royal District Theatre, was staged by director Data Tavadze (premiered in Tbilisi on December 21, 2021). The author of the screenplay is Dato Gabunia. The inspiration for creating the play comes from Krzysztof Kiesliowski's documentaries[2]. The title of the performance, carried out using artistic-documentary verbatim techniques, is a quote from Kisliovski's documentary film *Workers '71-Nothing About Us Without Us* (1971). Kisliowski's documentary depicts the 1970-1971labor protests in Poland, related to price hikes and brutally suppressed by the communist government of the country.

Data Tavadze and Dato Gabunia's dramaturgical text and play are about ordinary people. They, in our latest reality, are representatives of various social strata: workers, miners, ballerinas, knitters, housewives, etc. Just ordinary people. They are overlooked until some dramatic and sometimes tragic life events happen, such as a strike, death in a mine, death of a meritorious worker, pressure exerted by state structures, or any mass terror, etc.

Incident in the Subway, staged in Marjanishvili Theatre by Levan Tsuladze and Temo Kuprava, is a stage version of Larry Peerce's film *Incident* (1967)[3] (the authors of the staging: Levan Tsuladze, Temo Kuprava, premiered on December 12, 2021). The film itself was based on Nicholas Bier's[4] TV show *Deep Fear*. The play depicts painful and evil issues of modern life, while according to the directors' idea, the action takes place in an underground carriage, unlike the film. Levan Tsuladze creates a closed space with scenography. Gradually, depending on the development of events, the underground carriage gives rise to the association of Hell. People of different social backgrounds, tastes, worldviews, including two young violent people, who are in one closed space, have neither the strength nor the ability to resist the unjust violence. Perhaps that is why the directors did not give names expressive of belonging to either the perpetrators or the victims. Nameless beings, as if they were one faceless mass. This is also an indication that we may recognize ourselves in the active types of the events taking place on the stage.

At the beginning of 2022, on the experimental stage of Youth Theatre, young director Luca Intskirveli, together with a group of like-minded people, staged the play *The Green Cat* by contemporary Romanian playwright Elise Wilk[5]. Both in the play (translated by Ana Mirianashvili) and in the performance, the problems, thoughts, pains, worries and dreams of young 16-19-year-old teenagers living in the suburbs are presented and brought to life on stage.

Luka Intskirveli found an effective way by adapting

2 Krzysztof Kiesliowski (1941-1996) famous Polish director of documentary, feature and television films of the 1970s-80s-90s. In his films of different formats and genres, he explored both social and moral themes of modern times. He graduated as a film director from the world-famous Polish State Higher Education Film School in Lodz (Łódź). https://www.britannica.com/biography/Krzysztof-Kieslowski (last verified on 29.06.22. Translation everywhere is mine - M. V.)

3 Lawrence (Larry) Peerce (born in 1930 in the USA) is a playwright, screenwriter, director, producer. He made a name by movies and TV shows. There are also theatre productions in his creative list. In the 1960s, Pearce was considered to be one of America's greatest filmmakers. "One Potato, Two Potato" (1964), the first full-length feature film in which the director sensitively conveyed the story of an interracial marriage, a white and colored couple, was successful and was awarded an Oscar (the highest award of the Academy of Motion Picture Arts and Sciences in the United States) for Best Screenplay (Orville H. Hampton and Raphael Hayes). Barbara Barrie was named the Best Actress for her acting work at the Cannes Film Festival. https://www.imdb.com/name/nm0670282/bio (last checked 06/29/22).

4 Nicholas E. Baehr (1924–1986 USA) Screenwriter, playwright, director. https://www.imdb.com/name/nm0046296/ last checked 29.06.22).

5 Elise Wilk (b. 1981) is a Romanian playwright. Her plays are often staged in Europe and the USA. She is the winner of many prizes and awards. "Green Cat" is part of a trilogy ("Paper Planes" - winner of Romanian National Drama Award 2015, "Crocodile" - winner of National Monodrama Award). "The Green Cat" won the Irish Embassy Award for Emerging Romanian Playwright in 2013. https://www.fabulamundi.eu/en/elise-wilk/ (last checked 29.06.22).

the dramaturgical text built on characters monologues into a stage text. The play has a form of questioning, and dialogues follow logically. The story tells about Bianca's life that ended dramatically. Six young actors, while playing the characters, alternately present themselves as readers and sometimes as respondents. The readers sit in the first row reserved for the audience, and their questions correspond to what is imagined in the thoughts of each person sitting in the hall.

For Data Tavadze's Polish-Georgian play ***Nothing About Us Without Us*** the scenography created by Anna-Maria Karchmarska[6] consists of stage decorations divided like episodes. Walls, doors, windows, refrigerators, chairs, table, lamp, lark with red and white carnations create associations of different apartments. Unremarkable people = characters live here. Actors bring people's stories to life.

Similar to Kiesliowski's documentary, Data Tavadze uses the form of an interview to convey the story. The actors take turns being interviewers and respondents. The interviewer sits at a table with a lamp, the respondent stands at the microphone in the left corner of the stage. The video broadcast of the interviews is projected on a hanging white door. The questions are: Who are you? When were you born? What do you expect from life? Respondents answer briefly and precisely, some expect a life without fear, others nothing at all. Then, gradually, the story of each of them is played out onstage.

The director uses dark humor and sometimes even grotesque to convey dramatic story. From the very beginning Data Tavadze tells the audience that even in a play based on real stories the artist always shows the life seen with his own eyes, using the montage method. The director also uses expressionist, epic theatre techniques in the performance: an inscription appears on the screen, for example: "Service", "Those who work deserve an orchestra", "May Day", "Workers 1971", "Milk", "Nothing About Us Is Invisible"....

A note in Elise Wilk's play ***The Green Cat*** indicates that the setting is a suburb, with dreary gray buildings and an old chemical factory. The playground of the characters is almost empty according to the director's idea, there are only two chairs and a microphone, with which the defendants sometimes appear. During the performance, the director shows the streets of the suburbs to the audience through video projection.

The digital projection by Konstantine Ejibashvili, the musical themes by Vakhtang Gvakharia, coincide with the events unfolding on the stage and, at the same time, set the mood.

The psyche of teenagers raised in the exhaust of a chemical plant is distorted. Both in the play and in the performance, questions are raised as to who is to blame for the misfortune of these young people, for Bianca's tragic end. Along with the development of the series of events, it becomes clear that some of the parents of Dani, Bianca, Robert, Roxana and Flora are lazy, while others take care of arranging their own personal lives and do not care for their children; some seem to care for their child's better future, but their methods of upbringing do not help shape children as persons, but on the contrary destroy their psyche and makes them selfish. The director (based on the play) explores the circumstances that led Dan to become a bully and victimize Bianca.

The directors of ***Incident in the Subway***, together with the actors, create types of passengers in a concise manner. Tinatin Tsuladze's choreographic drawing helps the actors in plastic sculpting of the characters. Zura Gagloshvili's musical decoration (Bowie, Jimi Hendrix, Ilene Woods, Bach) helps create the rhythm, dynamism, and most importantly emotional charge of the performance. The creative team and the technical staff create a mini-model of our society with the types of passengers in the underground carriage. As soon as they appear, the violent characters act provocatively, talk loudly, get into the carriage and start harassing the passengers. Their behavior and actions are shocking, but the indifference, weakness, and inability of the other passengers to resist the violence is even more alarming. A middle-aged couple: a beautiful, chubby, caring, loving, hard-working woman and a man who is in love with work stressing over every penny earned. The relationship between the father and son characters shows that the unmarried daughter, who takes care of

6 Anna Maria Karczmarska (b. 1981) is a visual and performance artist, scenographer, and costume designer. She was born in 1981 in Rejowiec Fabryczny, Poland. https://culture.pl/en/artist/anna-maria-karczmarska (last checked 29.06.22).

her elderly father, perceives herself as a victim. Notably, the old father, unlike the young, tries to resist the abusers. Aggression towards a person with a different orientation, a transgender, is also evident from a certain part of the passengers of the carriage, but he is the one who has the desire and ability to act to somehow stop the aggressors. The extreme situation sheds light on the orderly, carefree life of the high-class spouse-characters. A husband who is unable to protect his wife (she will be raped in front of him) will be impotent. The character of the young lover was presented by the directors and the actor as a spiritual impotent in principle. He also does not have the strength and ability to protect his lover. Case after case, when the young man approaches him, he turns out to be a shmuck. In a pair of siblings, the sister is an eccentric, left-wing feminist woman, the brother is the antipode of the sister, an opponent of liberalism, homophobic, which, until touched, is even imbued with sympathy for bullies. There is an incompetent, easily submissive character, as well as a homeless man who can no longer even speak. Among the military personnel, one of them is a soldier who dreams of becoming a general, the other is a shmuck. Turning attention to the child of a bully becomes the last straw for a soldier who dreams of becoming a general. He is the only one who actually stands up to the bullies. The finale is dramatic, an incident in the subway costs the lives of two young people, a bully and a soldier who dreams of becoming a general.

In *The Green Cat*, young actors directly, without any pathos, consistently sculpt the faces of the characters. In both the play and the text, the story revolves around the story of Bianca's murder. Dan is a character with a psyche traumatized and distorted by his father's alcoholism. *The Green Cat* is a symbol of his sick psyche and escape from real life. It is because of the green cat on Bianca's T-shirt that he pays attention to her. Dan is a violent murderer, but the director builds a series of events that lead to the character's behavior in such a way that the audience does not understand it at first. The actor and the director consistently push Dan to violence. The culminating moment in his psyche or action is the smell of vodka that Bianca hates. Vodka is a destroyer of normal family relations, so Dan strangles the girl to suppress the vodka smell from Bianca.

In Data Tavadze's play, events in Poland in 1970-1971 are shown on the example of one family. The life of a housewife is also be played here whose work is invaluable. The theme of protests is played out in the dialogue between young siblings. The sister, who is active, attends rallies. A brother who supports the demands of the workers, but does not protest in the street: If I had known this, I wouldn't have let you go either, he says to his sister, who died in the raid.

In the play by Data Tavadze and Dato Gabunia or in the story brought to life directly onstage, the development of sequence of events, I guess, together with others, is built on the principle of associative thinking. The story told with different episodes (*May Day*, the *Workers' Holiday*, the retirement of the honored knitter woman, the episode of the ballerina, etc.) is connected to the whole and, together with others, expresses different forms of violence against a person. In modern theatre, a similar technique is used by a number of famous and less-known directors. Data Tavadze skillfully "welded" events of recent history of socialist Poland and Georgia so called "recall".

In the touching episode of a young Georgian miner, in verbal and effective language, we are told in detail what the miners feel when they go down into the mine, deep into the ground. Data Tavadze functionally plays scissors in this episode. Throughout the episode, a large pair of scissors seems to be cutting something, which will slowly dissolve the young boy's life force, evoking the association of loss in the viewer. In the play, one of the respondents, an old man, says that he is 100 years old and wants to live longer. This phrase of the old man is heartbreaking. Life is precious to all, and it is especially tragic when young people die. Towards the finale, a sculpture of the Virgin Mary can be seen in the refrigerator, people even locked their faith in the refrigerator. One of the characters says, "I don't remember who said Lord, why did you leave me". What can be more absurd than that? The director ends the play *Nothing About Us Without Us* with a shot from Kiesliowski's film. A picture of a little black-haired girl is displayed on the screen. The girl who says in the movie "I'm ugly with black hair". The viewer's gaze is focused

on the image of the little girl, who is actually beautiful.

In every time and era, when staging a classical or modern work, theatre talks to the audience about the problems in modern times. Analyzed performances: *Nothing About Us Without Us*, *Incident in the Subway*, and *The Green Cat* deal with explosive topics—not only for the local society of our country, but also in the world in general, like violence, oppression, passivity, nihilism, etc. A society that no longer has the ability to love, sympathize, and tolerate gives birth to violent people and passive people who are incapable of resisting violence in this bureaucratic, autocratic, absurd world.

REFERENCES:

- ბრანდერი პ., კომპასი, თბ., 2004.
- უილკი ე., მწვანე კატა, https://www.theatrelife.ge/tuf
- ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ჟურნალსა თუ ელექტრონულ საიტზე https://www.theatrelife.ge/ გამოქვეყნებული მკვლევარი-ავტორის მარინე (მაკა) ვასაძის სტატიებიდან ამონარიდები.
- http://www.rustavelitheatre.ge/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/
- https://www.britannica.com/biography/Krzysztof-Kieslowski
- https://www.imdb.com/name/nm0670282/bio
- https://www.imdb.com/name/nm0046296/
- https://www.fabulamundi.eu/en/elise-wilk/
- https://culture.pl/en/artist/anna-maria-karczmarska